საქართველოს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია. ხუთშაბათი 6 მარტი 1919 წ. პროლეტარეთა ერთო, მეერთდეთ!

ერთობა

ფასი 75 კაპ.

გაზ-ი დიან: 1 თვეში 18 მანეთი ცალკე ნომერი ღირდა 75 კაპ. განცხადების ფასი, რიგითრიც მირეულ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამკლოვიანი განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, აბონენტებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არავე მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მოწერილებმა ფული შემდეგი მიერ სათ უნდა გამოგზავნონ: თფილისი, ფოსტის ყუთი № 199 გაზ. „ერთობის“ რედაქცია სხვა მიერსით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის მიერსი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 24.

ტელეფონი 16—62.

№ 52 ორგანო საქართველოს სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 52

დავით ეფრემის ძე ონიაშვილი თავის რჯახობით, ელისაბედი, დარო, მარიამ და ივანე, იაკობ და ნინო ტატიშვილი თავის შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქ. გორში გარდაიცვალა მათი საყვარელი მამა

ეფრემ დავითის ძე ონიაშვილი

დაკრძალვა მოხდება ქ. გორში. (1—1)

ღრმად დამწუხრებული ბეჭდლე ანეტა ლუარსაბის ასული, შვილები: აკაკი თამარა, ამბროსი, ლუბა, ლიდა და შურა, ძმა გიორგი ივანეს ძე მაჭარაძეები. დედა ალათი მაჭარაძისა და დები სოფიო ფანცხავასი, რძალი ეკმა მაჭარაძისა, სიდედრი ელენე რუხაძისა, ცოლის ძმები: ვალიკო პოლიკარპე, გიორგი და თედორე რუხაძეები, ცოლის დები: ლიზა ბახტაძისა, თედორი თელიანისა, მართა შენგელიასა და მატრონე რუხაძე, ცოლის ძმების ცოლები მარო და ბაბილინე რუხაძეები, ქვისლები: ლადო თელია და სერგო შენგელია, ამით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და უფალ ეების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ალექსანდრე ივანეს ძე მაჭარაძე

რომლის დაკაფლ ეების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (2—2)

თფილისში არებული რაჭა ლეჩხუმ-სვანეთის კულტურულ-ეკონომიური საზოგადოების მთავარი გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს ყველას, რომ 4 მარტს, არამიანცის საავთმყოფოში მცირე ხნის ავათმყოფობის შემდეგ მოულოდნელად გარდაიცვალა საზოგადოებისთვის მეტად სასარგებლო მშრომელი წევრი

გლახუა (გიორგი) წულოგის ძე სხირტლაძე. (1—1)

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე აგრაფინე გავრჯალაძისა ასული ებრალიძისა, ძმა ბენიამენ არსენის ძე ებრალიძე, რძალი ნინა ჩხაიძის ასული ებრალიძისა, ბიძა ყარამან და ბიძაშვილი ვლადიმერ ებრალიძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

სილოგისტრო არსენის ძე ებრალიძის

ტრადიციულად გარდაცვალებას. დაკრძალვა და გამოთხოვების დღე დანიშნულია ხუთშაბათს 6 მარტს ნაშუადღევის ორ საათზე ქ. ლანჩხუთში ივანე ნათლისმცემლის ეკლესიაზე. (1—1)

შაბათს, 8 მარტს სოფ. ხიდისთავში წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ჩვენი ერთად ერთი ნუგეშის

მალა ივანეს ასული კალანდაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობთ გამოუთქმელ მწუხარებაში მყოფნი: შვილები ოლია, ჭოჭია და ვარვარა კალანდაძეები. (1—1)

ზავი და რევოლუცია

საერთაშორისო კონფერენცია დღემდე კიდევ ვერ ჩადგა ნორმალურ კალაპოტში. ვერ ჩადგა ორი მიზეზით. ერთი მხრით გამარჯვებულმა კოალიციამ დღემდე საბოლოოთ ვერ გამორკვევია თავისთვის ის აუარებელი მსოფლიო საკითხები, რომელიც წამოყენებულია წარსული ომით. მეორე მხრით დამარცხებულ გერმანია-ავსტრიაში ცხოვრება რევოლიუციური დულელის ხანაში და საბოლოოთ ვერ ჩამოყალიბებულა. თვით დამფუძნებელი კრება გერმანიაში საწრაფოთ მოწვეული, ვერ გახდა სიხმელოთ საბოქალაქო სისხლის ღვრის თავიდან აცდენისა და გამწვავებული ომი ქალაქის ქუჩებში კვლავ ჩვეულებრივ მოვლენათ არის გადაქცეული.

ამ რიგათ ზავის საქმეში ორი ძალა მუშაობს, ორი სხვადასხვა ტენდენციის ტრიალებს.

და რაკვამულ სახელმწიფოთა გამბატონებულ კლასების კაპიტალისტური მიზნები, მსოფლიო ეკონომიური ბატონობის პირობების შექმნა თავისთვის, დამარცხებული მოწინააღმდეგის მიწასთან გასწორების ტენდენციები, რომელიც დროებითი ზავისთვის ახალახალი მძიმე პირობების წამოყენებაში გამოიხატება, ზანტი და ცალმხრივი მუშაობა თვით საზავო კონფერენციის, რომელიც ხხოლოდ ერთი მხარისგან შესდგება და თავის მოპირდაპირეთა ბედსაც ცალმხრივი შეთანხმებით სწყვეტს, მეტათ ართულებს მდგომარეობას.

ომი გათავდა, მაგრამ სამშვიდობო მდგომარეობა ისევ დარჩა.

ზარბაზნების გრიალი შეწყდა, მაგრამ მათი ლულები კვლავ მზათ დგანან ასახმაურებლათ.

იმპერიალისტური გერმანია ავსტრიის წინააღმდეგ მიმართული ხმალი, ახლა ამ ქვეყნების რევოლიუციურ დემოკრატიას აქვს ყელში მიჯენილი.

ამრიგათ, ისევ მეორდება მუდმივი დაძაბულებითი ძალა აქვს. მის მსახურთ საშინელი ისტორია ხალხთა ომებისადმი დიდი ენერგიის გამოჩენა შეუგრძოლაში, ომში იღვრება ხალხის სისხლიანთ. მაგრამ ერთი მაინც უტყუარათ სხლი, რომელიც ომის მიზეზი არ არის, ეგვიძლია ვთქვათ: რითაც უნდა დადა ზავის შემდეგაც მთელი უბედურება

ᲓᲦᲔᲡ

ხოსუმის ოლქის რუსთა ეროვ. საბჭო სთხოვს ინგლისის მისიას, რათა მან ხოსუმის ოლქ წარმომადგენელი დანიშნოს იქ მცხოვრებ რუსთა ინტერესების დასაცავად.

ფრანგული პრესა უარყოფს იმ ცნობას, თითქოს რუმინიაში გაფიცვები, აჯანყებები ხდებოდეს და ვითომ მეფე დაეპატიმრებიოთ.

ბალშევიკების ცნობით ხომარი მოქმედება განახლდა გერმანელებსა და პოლონელებს შორის. ბრძოლა გრძელდება აგრეთვე გალიციაში პოლონელებსა და უკრაინელებს შორის.

გერმანიის ზოგიერთ კუთხეებში მთავრობის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის ბრძოლა გრძელდება. გალი ჯერ კიდევ ვერ გასწმინდა ხავხებით მთავრობის ჯარმა კომუნისტებისაგან. ბურუჟუაზიამ კონგრ გაფიცვით უპასუხა. რერის ოლქში სიწყნარეა. ჰამბურგის ზოგიერთ მაღაროებში გაფიცვაა.

მათდა საუბედუროთ ჩვენი დემოკრატია არც ისე სულ მოკლე გამ დაა, როგორც ეს ჩვენ მტრებს უნდოდათ. ჩვენი დემოკრატიული მთავრობის მიერ ნდობით აღჭურვილი პირები მეტის მეტად ფუსფუსობენ. ბოლოს ოლქის დემოკრატიამაც ნათლად წარმოიდგინა შავი ყორნების მოახლოვების საშიშროება და როგორც ერთი კაცი ფიხზე დადგა: სოხუმში მდგომი ჯარის მცირე ნაწილი, მახლობელი სოფლების გლეხები, ადგილობრივი მუშები, განურჩევლათ ეროვნებისა, უფროსი კლასების მოსწავლეების დიდი უმრავლესობა—ყველა ფრონტისკენ გაეშურა, შავრაზმელების ღირსეულ პასუხის გასაცემათ.

კიდევ ერთი ორი დღე და ჩვენი საამაყო გმირები—სახალხო გვარდიელებიც გაჩნდნენ სოხუმში.

მოდიას ათასობით წითელი დროშებით, მარსელიოზის სიმღერით, სიცილ-თამაშით, თითქოს ქორწილში მიეშურებოდენ. ჩვენ ვმირებს ყოველგვარი მოწყობილება შესაფერი თან ახლავთ.

მდგომარეობა იცვლება. შავრაზმელებს თავზარი ეცემა. გუშინ თუ თქვენ [illegible] ნებრ შურისძიება ჩვენ არ გვასულდგმულებს. დღეს ჩვენ ძალას წარმოვადგენთ და ჩვენი მტრებიდან მოვითხოვთ არა თუ სოჩის ოლქის გაწმენდას, მუხანათური თავდასხმით გამოწვეულ ზარალის ანაზღაურებასაც. შავრაზმელები კი პასუხისთვის ვადის გაგრძელებას თხოულობენ, ზურგს უკ ნ კი მახვილს ამზადებენ. მაგრამ, სანამ ჩვენი დემოკრატია აგრე ფხიზელი დარაჯი იქნება თავის თავისუფალი სამშობლოსი, მთელი ქვეყნის შავრაზმელებიც მას ვერრას დააკლებს.

რამდენათ მეტი ახალ ახალი საფრთხე უჩნდება ჩვენს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას, იმდენათ მეტ ძალას იკრეფს ჩვენი დემოკრატია. ყველაზე უფრო სიამოვნებით აღსანიშნავი არის დენიკინის შავრაზმელების გამოსვლის დროს, სოხუმის ოლქს და სამურზაყანოს გლეხების საერთო გამოძახილი. სულ ცოტა ხნის წინათ ხსენებული გლეხები ჩვენ სახალხო გვარდიას და დემოკრატიის მიერ ნდობით აღჭურვილ ჩვენ მთავრობას, მემამულეების ინტერესების დამცველათ სახავდენ ჩვენი მტრების შთაგონებით და იარაღით ხელში ირაზმებოდენ ჩვენს წინააღმდეგ, დღეს კი ათასობით მიეშურებიან ფრონტზე და პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

ჩვენ ჯერ არ ვიცით რა ხასიათს მიიღებს „მოხალისეებთან“ კონფლიკტი, არც ის ვიცით, თუ რაგვარ ძალასთან გვიქნება საქმე მოსალოდნელ შეტაკების დროს. მხოლოდ ერთი აშკარაა ყველასთვის: ჩვენ შეგ ძლებთ ამ ბრძოლაში ფეტ ურათ გამარჯვებული გამოვ დეთ და ჩვენი უფლებები აღვადგინოთ. ამის თავდებია ჩვენი რეალური ძალა და ჩვენი დემოკრატიის სულიერი განწყობილება.

აღსანიშნავია კიდევ, რომ დენიკინის გამოსვლის წინა ხანებში ჩვენთვის ერთ მეტად სასიამოვნოს და საყურადღებო მოვლენას ჰქონდა ადგილი. ამ ბოლო დროს აქ მრავლათ მოიყარა თავი ბალშევიკურ რუსეთიდან და დენიკინის სამფლობელოდან გამოქცეულმა რუს მუშებმა და ინტელიგენტებმა. ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის რეჟიმი და თავისუფლების ის გარანტიები, რომელ ც ჩვენ შევინარჩუნეთ, ამ გამოქცეულებს სამოთხეთ ეჩვენებათ და ამას გულწოფელათ და გატაცებით აღიარებენ ყველა კრებებზე, თუ კერძო კამათში. თუ დღემდე ასეთი პირები თითზე ჩამოსათვლელი იყო აქ, დღეს ისინი საგრძნობ ძალას წარმოადგენენ. დენიკინის გამოსვლის დროს ჩვენ თანამგრძნობთა რუსი მუშების რიცხვი კიდევ უფრო გაძლიერდა სოჩის ოლქიდან ახალ გამოქცეულებით და დღეს დიდი ნაწილი ამ მუშების იარაღით ხელში გვერდში გვიდგას „მოხალისეთა“ ჯარის წინააღმდეგ საბრძოლველათ. ასე რომ, თითო ოროლა შავრაზმელი მოხალეების გველური სისინი ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს და ყველასათვის აშკარა ხდება, თუ ვინ ვის ინტერესებს იცავს.

ჩვენ დარწმენებული ვართ დენიკინის საფრთხეს ღირსეულათ თავს დავაღწევთ. ისიც ვიცით, რომ მომავალში კვლავ ახალი მორიგი საფრთხე არის მოსალოდნელი, მ გრამ ჩვენი დემოკრატიის მიერ არჩეული სწორი გზა და თავდადება საშუალებას მოგვცემს ყოველგვარ საფრთხეს თავი დავაღწიოთ და შორს არ არის ის დროც, საერთაშორისო დემოკრატიასთან სამოლოო გამარჯვება ვიდღესასწაულოთ. ი. ც—ძე.

ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲑᲘ

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

5 მარტი.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ.

ცენტრალურ გერმანიაში მდგომარეობა არ გამოცვლილა. ზოგან მდგომარეობა გამოურკვეველია. გალში, სადაც მთავრობის ჯარი შევიდა, გენ. ფონ-მარტისის უფროსობით, ზოგიერთ ადგილებში კომუნისტები ჯერ კიდევ მაგრდებიან. ამის გამო საქმე სრულამდე მიდის ხშირათ. კომუნისტები ძლიერ დაზარალდენ. მთავრობის ჯარს 1 მოუკლეს და 12 დაუჭრეს. მარტის 2 შესდგა კომუნისტურ ადგილობრივ მთავრობის არჩევნები, რომელიც წესიერათ ჩატარდა, თუმცა, მოქალაქეთა უმეტეს ნაწილს არ მიუღია მონაწილეობა, რადგან ქუჩებში ბრძოლის დაწყების ეშინოდათ. გენ. მარკერი აპირებს სამხედრო ზომების მიღებას, რომ საერთო არჩევნები წესიერათ ჩატარდეს. საყოველთაო გაფიცვა ისევ გრძელდება. ლეიპციგში აგრეთვე გრძელდება საყოველთა გაფიცვა და ბურჟუაზიული კონტრ გაფიცვა. რურის ოლქში საერთოთ სიწყნარეა. ჰამბურგის ზოგიერთ მაღაროებში მუშები გაფიცენ, რათა სამუშაო დღე ნახევარი საათით შეუმცირონ.

კვირას, მარტის 2 ბერლინში გაიხსნა დამოუკიდებელთა პარტიული ყრილობა. [illegible] ბელთა პარტიის ყოლია 100,000 წევრი, იანვარში—300,000 მათ შორის 70,000 ქალი. უკანასკნელ დროს წევრთა რიცხვი კიდევ გაიზარდა. ფინანსიური დაბრკოლებანი საშუალებას არ იძლეოდა სავსებით ეწარმოებინათ ყველგან ანტიკაპიტალისტური პოლიტიკა. მთელი კაცობრიობის აზროვნების სფეროში მომხდარ უდიდეს რევოლიუციას სამხედრო მინ ტრი ნოსკე ძალით ვერ ჩააქრობს. ჰაიზეს სიტყვით მომავალი ეკუთვნის დამოუკიდებელ სოციალ დემოკრატიულ პარტიას, რომ ლის მიზანია კაპიტალიზმის დამხობა და კაპიტალისტურ საზოგადოების სოციალისტურათ გარდაქმნა, რაც უფრო ჩქარა მოხდება, თუ სოციალისტური ინტერნაციონალი ენერგიულათ ამუშავდა. საორგანიზაციო საკითხებზე მოხსენება წაიკითხა ყოფილმა სახალხო კომისარმა დიტმანმა. კამათის გაგრძელება ორშაბათის სხდომისთვის გადაიდო.

ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

მეტცში ჩავიდა ელზას-ლორენის საქმეების გამო დანიშნული სენატის კომისია, რომელშიაც შედიან: ლეონ ბურჟუა, ბიენვენიუ მარტენი, ლას კაზალი ორდეპერი და კულბა. კვირას კომისიას წარუდგა მეტცის მუნიციპალურ საბჭოს დელეგაცია, ქალაქის მოურავის პრეფექტის მეთაურობით და მეტცის სავაჭრო პალატის დეპუტაცია, გუმბერტა დეფენდელის მეთაურობით. დეპუტაციები მილო რესპულიკის კომისარმა მირმაპმა.

ორივე დეპუტაციამ გამოსთქვა თავისი აზრი და სურვილი ადგილობრივ ადმინისტრაციისა, საზოგადო საქმეების, ვექსილის კურსის, საფრანგეთთან ურთიერთობის, ელზას ლორენის რკინის გზების მომავალ მართველობის და მოზელის კანალიზაციის შესახებ. სენატის კომისიას და პარლამენტის სახელით ბურჟუამ განუცხადა დეპუტაციებს, რომ მათ აზრს და სურვილებს დიდის ყურადღებით განიხილავენ. მან სხვათა შორის სთქვა: „საფრანგეთმა უწყის დაბრუნებულ პროვინციების ფასი და დიდი სურვილი აქვს შენარჩუნებულ იქნეს ის დაწე ებულებანი, რომელიც მცხოვრებთ ძვირათ ულ ართ“.

იაპონიის პირველი დელეგატი საზავო კონფერენციაზე მარკიზ საიონი პარიზში კვირა დილით ჩამოვიდა. გაზ. „ტან“-ის ერთ ერთ რედაქტორთან საუბრის დროს მან სიხარული გამოსთქვა პარიზში ჩამოსვლის გამო, სადაც მან დაიწყო თავისი კარიერა და დაუმატ , რომ მე არ ვიყავ დანიშნულ წარმომადგენლათ საფრანგეთში, რომელშიც აღზარდა ჩემი გონება და სადაც განვავითარეთ ურთიერთობა. ეს ნიშნავს, ეროვნული ინტერესებს ვეწინააღმდეგებ. ეს ინტერესები ეროვნული ინტერესებია. ეს ინტერესები ეროვნული ინტერესებია. ეს ინტერესები ეროვნული ინტერესებია

ორგანიზაციის კრება. კოლექტივის ბინაზე.

— დღეს, საღამოს 6 საათზე, „ბომონდის“ ყოფილ სასტუმროს შენობაში შესდგება ბეჭდვითი საქმის მუშათა რწმუნებულების კრება.

— 6 მარტს, ტრამვაის პარკში, საღამოს 5 საათზე, შესდგება საერთო კრება თფილისის ოსებისა.

მთავრობაში

1 მარტის სხდომაზე მთავრობამ დადგინა:

ვინაიდან ირკვევა, რომ რუსეთის ზოგიერთ ადგილებიდან, იქ რუსული მარკების გაუქმების გამო, ჩვენში მრავლათ შემოიქვთ რუსული მარკები და ამით ზარალი ეძლევა სახელმწიფო ხაზინას, მიენდოს ფინანსთა მინისტრს ორი კვირის განმავლობაში დაბეჭდოს ქართული ყოველნაირი მარკები, როგორც საფოსტო, ისე ღერბის, რის შემდეგ რესპუბლიკის ტერიტორიაზე გაუქმებულ იქნას რუსული მარკები.

მიეცეს შინაგან საქმეთა მინისტრს 10,000 მან. აფხაზეთის სამინისტროს კანცელარიის მოხელეთა და სხვა ხარჯების დასაფარავად.

თანახმად თფილისის საკრედიტო დაწესებულებათა კომიტეტის დადგენილებისა, მიღებულ იქნას გარანტია მთავრობის მიერ, რომ 1,500,000 მან., რომელსაც თფილისის ბანკები სესხად აძლევენ თფილისს, ვადაზე იქნება გადახდილი.

2) წინადადება მიეცეს ფინანსთა მინისტრს, რათა სახელმწიფო ბანკმა გახსნილ კრედიტის გარეშე გაუნაღდოს ბანკებს აღნიშნული თანხის ვექსელები.

3) ეს დადგენილება სისრულეში იქნეს მოყვანილი ჟურნალის დამტკიცებამდე.

— —

მსახიობი ვასო აბაშიძე დაჯილდოვებულ იქნას 5,000 მანეთით. ეს თანხა გადაიდოს ათ მილიონიან ფონდიდან.

არა-კერძო დაწესებულებებში მოსამსახურე სასამართლოს წევრებს მიეცეთ დღიური არსებული ნორმით იმ დღეებისათვის, რომელსაც ისინი საგანგებო სასამართლოში მუშაობას ანდომებენ.

მიეცეს იუსტიციის სამინისტროს 3,000 მან. ათ-მილიონიან ფონდიდან გამომძიებელთათვის ერთ თვიურ კურსების ხარჯების დასაფარავად.

ლ. ნ. ყილო, თანახმად სოხუმის საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარის შუამდგომლობისა, დაინიშნოს ხსენებულ სასამართლოს წევრად.

მოვალეობის მსხვერპლი*)

ᲙᲝᲢᲔ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐᲡ ᲮᲡᲝᲛᲕᲐᲡ.

კოტე იყო კულაშის საზოგადოების სოფ. ჭაგნის დარიბი ოჯახის შვილი. მან დაათავა კულაშის უმაღლესი პირველდაწყებითი სასწავლებელი და ორ წელზე მეტი მსახურებდა რკინის გზაზე. ამ უკანასკნელად ის მსახურებდა რკინის გზის სამმართველოში თფილისში. ამ ხნის განმავლობაში მან დიდი ნდობა და სიყვარული დაიმსახურა ამხანაგებთა შორის. არც კოტე ჩამორჩა თავის ამხანაგებს. მან მოწაფეობიდან განიზრახა ხალხის სამსახური და მისთვის თავის ცოდნას და ენერგიას არ შურავდა ჩაეწერა სახალხო გვარდიაში, მიერო მონაწილეობა ყველა ფრონტებზე და მიუხედავათ დიდი გაჭირვებისა, ერთხელაც არ გაუვლია გულგაცივებობა, პირაქეთ, ყველას ამხნევებდა და ერთგულად ემსახურებოდა ტახჯული ხალხის საკეთილდღეოთ.

სომხეთის ომის გამოცხადებისთანავე იგი პირველათ გაეშურა ბრძოლის ველზე სანაინის მიმართულებით, სადაც გმირულათ დაეცა.

მშვიდობით პატიოსანო ადამიანო.

Შ. ᲞᲐᲢᲐᲠᲘᲫᲔ.

ᲓᲐᲓᲘᲙᲝ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ, ᲮᲐᲚᲐᲛᲞᲐᲠᲘ ᲩᲮᲐᲘᲫᲔ, ᲕᲐᲡᲘᲚ ᲑᲐᲚᲐᲗᲣᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲚᲘᲙᲝ ᲛᲒᲔᲚᲐᲫᲔ.

ბოლნის-ხაჩინში 8ᲘᲘ დეკემბერს გმირულად დაიღუპენ გურიის სახ. გვარდიელები ლადიკო თავაძე, ილიკო მგელაძე, ხალ. ჩხაიძე და ვასილ ბალათურია.

უდროოთ საფლავი გაუთხარა მებრძოლთ. თავიანთი რაზმს, შეუჩერებელ ოხს, ბრძოლას, საქმიანობას მოშორდენ ამხანაგები...

თავისუფლების მღელვარე ხანებში მათ არ დაუსვენიათ, მათ არ უგრძვნიათ სიტკბოება ამ ქვეყნიური. ბრძოლაში გაატარეს თავიანთი უკანასკნელი დღეები და ებლა ვალ-მოხდილი სამარეში განისვენებენ...

ვისაც ერთხელ კი მაინც უნახავს სიცოცხლით სავსე ვაჟკაცი ლადიკო თავაძე, რომელმაც თავისი უკანასკნელი სიცოცხლე ომში გაატარა, იგი მწარეთ დადონდება და იგრძნობს, რომ მისი სიკვდილი დიდი დანაკლისია ჩვენთვის.

იგი ყველა ფრონტზე იბრძოდა და ბოლნის ბოლნის ხაჩინში დაამთავრა თავისი სიცოცხლე.

მებრძოლი მოკვდა, დაეცა ბრძოლის ველზე...

ხალამპრე ჩხაიძე, ვასილ ბალათურია... ეს ორი გულწრფელი მომუშავენი, თავგანწირულნი მხედარნი, ჭკან დაუხვეველნი, ჭირში და ლხინში მოძრაობის თანამგზავრნი, ადარ არიან...

ისინიც გასწირა ხეიდრმა, მათ უდალატა ბედმა და მავთულ ხლართებით მოცულ საბედისწერო გზაზე დაეცნენ...

ახალგაზრდა ილიკო მგელაძე, 18 წლის, სიცოცხლით და ენერგიით სავსე, ნიჭიერი, მომავალ თაობის დირსეული შვილი, იქ ბრძოლის ველზე... ვინ იცის, რამდენი მსხვერპლი მიიღო ჩვენმა დიადმა მოძრაობამ, ვინ იცის კიდევ რამდენს მიიღებს, მაგრამ „უქმათ ხომ მაინც არ ჩაივლის“ მებრძოლთა თავგანწირვა, მათი ისტორიული გმირობა!..

დიე, გაითხაროს საფლავები... დიე ეტიროს ძაძით მოსილმა დედებმა... ქვეყანა, სამშობლო, მომავალი თაობა უკვდავების გვირგვინით შემოსავს მათ, ვინც უარყო თავისი სიცოცხლე და მსხვერპლათ შეეწირა სახალხო საქმეს...

ნეტარება მათ, ვინც ვალ-მოხდილი განისვენებს საძმო საფლავში...

დიდება მათ, ვინც თვისი სიცოცხლე ანაცვალა სახალხო მოძრაობას, სამშობლოს კეთილდღეობას!..

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲘ.

თფილისი.

მზადება დამფუძნებელ პრეგისთვის

დამფუძნებელი კრებისათვის დიდი მზადებაა. საგანგებოდ გადაკეთდეს სასახლის თეთრი, ყვითელი და სპარსული ზალები. თეთრ ზალაში თავმჯდომარის ადგილის მარჯვნივ არის გაკეთებული პარლამენტის ქვესტორის ადგილი, მარცხნივ კი მომხსენებლის. ტრიბუნა თავმჯდომარის ადგილის წინ. მარცხნივ მოთავსებულია მთავრობის ადგილი, რომელიც დეპუტატთა ადგილებზე ცოტათი ამაღლებულია. ყოფილი პრესიდიუროს ოთახი მთავრობისათვის არის დათმობილი. ეს ოთახი პირდაპირი კარით უერთდება თეთრი ზალის იმ ნაწილს, სადაც მთავრობის ადგილია. ყვითელი ზალა გადაკეთებულია დიპლომატიური წარმომადგენლებისათვის და უცხო სტუმრებისათვის. ლამაზი და ცალკე ლოჟებია გაკეთებული აგრეთვე დიპლომატებისათვის. სპარსულ ზალაში მოთავსებულია სამკითხველო და ბუფეტი. დამფუძნებელ კრების დარბაზში დეპუტატებისათვის არის განსაკუთრებული შესავალი. ზალაში იატაკი ამაღლებულია. თვითეული დეპუტატებისთვის იქნება ცალკე სკამი და პიუპიტერი. დეპუტატების სკამების უკან დადგმულია სკამები ერობის და ქალაქების მოდვაწეთათვის, მარჯვნივ სამი განყოფილებაა საკუთარი შესავალით: პირველი განყოფილება ადგილობრივი პრესის წარმომადგენელთათვის, მეორე უცხო სახელმწიფოთა პრესისათვის და მესამე დეპარტამენტთა წარმომადგენლებისათვის. როგორც მარცხნივ, ისე მარჯვნივ და თავმჯდომარის ადგილის პირდაპირ ზევით გაკეთებულია ადგილები დამსწრე საზოგადოებისათვის. ყველა სკამები დანომრულია და განსაკუთრებული შესასვლელი ბილეთებით შეიძლება შესვლა. დამსწრეთათვის ადგილები შედარებით წინანდელთან ბევრათ მომატებულია. არის 500 კაცზე მეტის ადგილი.

საადგ.-მამული რეფორმა

ᲗᲤᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ.

თფილისის მაზრა ერთი უმდიდრესი კუთხეთაგანია საქართველოში. აქ თუმც დიდი მქონე მემამულეები არ არიან, მაგრამ მშვენიერი ვენახიანი ადგილები და ნოყიერი სახნავ სათესი მინდვრები დიდ სიმდიდრეს ქმნიან და უხვათ აჯილდოებენ მფლობელებს.

მამულების ჩამორთმევა აქ თითქმის დათავდა და ებლა ხდება ამ შეცდომების და სადავო კითხვების გასწორება, რომლებიც მიწების ჩამორთმევის დროს ხდებოდა. საერთოთ, უნდა ითქვას, რომ ამ მაზრაში მიწის რეფორმა გვარიანათ ჩატარდა, მაგრამ ის შეცდომები, რომლებიც მუშაობის დროს ხდებოდა, საჭიროა აღინიშნოს: მემამულეები, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველა რაიონებში უკმაყოფილონი იყვნენ და დიდი უმრავლესობა იმათგან ყოველ საშუალებას ხმარობდენ ხელი შეეშალათ მუშაობისთვის; ახალი მთავრობის უდიერათ მოხსენიება, კომისიებზე თავდასხმა მხეცურათ, როგორც ეს მოიმოქმედა სოფ. ალისყურ ს მცხოვრებმა ყოფილმა თავადმა ჩოლოყაშვილმა და მრავალი სხვა არა კულტურული მოქმედება, აი ის დამახასიათებელი თვისებები იმ გარდამავალი წოდებისა, რომელიც ისტორიას ჩაბარდა. მაგრამ, სამწუხაროთ, მიმდებ კომისიაშიაც იყო ისეთი შემთხვევა, რომელიც, არამც თუ ხელის შეშლა, დანაშაულობათაც უნდა ჩაითვალოს. მიწის მზომელი კ—შვილი იმის მაგიერ, რომ სწორი ცნობები მიეწოდებინა კომისიისთვის, მამულების გაწესრიგების დროს აგიტაციას ეწეოდა რეფორმის წინააღმდეგ და მემამულეებს ამშვიდებდა. ხუთმეტი დღის შემდეგ ეს ყველაფერი გაუქმდება და რაზე უნდა შევიწუხო თავი, ასეთი ქცევით და ზოგი კომისიის წევრების ავათმყოფობით, იმ რაიონში მუშაობა შეფერხდა და თანაც დაგვიანდა. წინანდლის რაიონშიაც მოხდა საყურადღებო შეცდომები, რომლებიც უნდა მიეწეროს კომისიის აუდევრობას და მასთან მაზრის სამიწად-მოქმედო სამმართველოს თავის დროზე თელავის სამაზრო სამიწ. მოქმ. სამმართველო არ დგას თავის ალაგას, მან ჯერაც ვერ შეითვისა ის თი აუცილებელი რამ, რომელიც ინსტრუქციაშიაც არის მოხსენებული; მაგ. ყველა უკმაყოფილო მემამულეები, რომლებიც საჩივარს განაცხადებენ ნორმის გადიდების ან სხვა საკითხების შესახებ, ასეთები უნდა განხილულ იქნას ცენტრალურ სამიწად-მოქმედო სამმართველოს მიერ; ის თავის თავად თუ, საჭიროება მოითხოვს, შეეკითხება მაზრის სამმართველოს და სამოლიო დასკვნას თითონ დადებს. თელავის სამაზრო სამიწადმოქმედო სამმართველო თვითონ სწყვეტს კითხვებს და ამით დიდი გაჭიანურობა შეაქვს საქმეებში. თუმც ამის შესახებ მან მიიღო განკარგულება, მაგრამ, როგორც სამმართველოს თავმჯდომარის სიტყვებიდან გამოირკვა, ის არ ეთანხმება ასეთ შეხედულებას და, როცა მიმღები კომისია შეეკითხა ამა თუ იმ საჭირო ცნობების მიწოდებაზე, მან უარი განაცხადა და არც კომისიიდან მიიღო ასეთი. ბევრი ისეთი საკითხები, რომლებიც თბოულობენ სარჩერო ზომების მიღებას, გვიანდება და უფრო წვრილად საქმეებზე იბანდებიან. წელიწადზე მეტია, რაც სოფელ საბუეში, ამ სოფლის მცხოვრებლებმა, ალ. ჯორჯაძის მშვენიერი ვენახიანი გაშენებული მამული ძალით მიითვისა, შეუშვა შიგ ყველა ჯურის ცხოველები და გაანადგურა ის. ეს მოხდა სულ სოფლის ხუთიოდე „კულაკების“ წყალობით. ხალხმა თავისი შეცდომა მაღე შეიგნო და მას უნდა ეს შეცდომა გაასწოროს და თან ეს ვაუბატონები ალაგმოს, მაგრამ ზემოხსენებულმა სამმართველომ ვერ მოახერხა, რომ უპატრონოს ამ სიმდიდრეს და დღესაც უმოწყალოდ ნადგურდება ექვსი დესეტინა საუკეთესო ვენახით გაშენებული ბაღული. დღესაც შეიძლება მისი გადარჩენა ᲩᲥ ფართოდ გამოყენება, რადგან ეს მამული ფონდის საკუთრებას შეადგენს, მაგრამ ვინ არის პატრონი. სხვა ბევრი ჩამორთმეული მამულებიც არ არის რიგიანად მოვლილი და მხოლოდ მაშინ შეიძლება გაუჭიანურებულ საქმე, თუ თვითოეულ რაიონში იქნება თითო საიმედო და ენერგიული კაცი, რომელიც იზრუნებს ჩამორთმეული მამულების საკეთილდღეოდ. ეს აუცილებელი იქნება იმ შემთხვევაშიც, თუ მამულები იჯარით იქნა გაცემული, მხოლოდ ასეთი კაცები არ ეკიდებოდნენ სხვა კერძო საქმეებს, რაც, სამწუხაროდ, ხშირი მოვლენაა და მთელი მათი ყურადღება მამულის მოვლისკენ იქნება მიმართული.

დასასრულ ვიტყვი, რომ საჭიროა ყველა ორგანიზაციებ. ამ ... მედებდნენ და ნაკლები ალაგი ჰქონდეს ისეთ შეხედულობას, რომელიც ᲥᲜᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ იწვევს და საერთო საქმეს აფერხებს.

ᲐᲮᲚᲝᲑᲔᲚᲘ.

ქალაქის სასურსათო განყოფილებაში

(თფილისის თვითმართველობის სასურსათო განყოფილების მოსამსახურეთა უმოქმედობა).

ყველასათვის ცხადია, რომ, როცა ცოტათი მაინც გამოცდილი და თვით იმ დაწესებულებაში ნამსახური კაცი ერთი კვირის განმავლობაში ვერაფერს ხდება თავისი საქმე გაიკეთოს, მაშინ რადა უნდა მოელოდეთ იმ პირებს, რომლებიც სრულებით უცნობი არიან? საქმე შემდეგშია: მე ვმსახურებდი გასულ წელს ქალაქის სასურსათო განყოფილებაში, იანვრიდან 14 მაისამდე. მარტში მიწადმოქმედების სამინისტროს დავალებით გავემგზავრე სოფლად მიწების რეფორმის ნიადაგის მოსამზადებლად. ჯამაგირი და ადგილი უნდა შეგვნახოდა ყველას, ვინც ამ საქმეზედ მუშაობდა. შემდეგ მაისის 14 რიცხვიდან მე დამნიშნეს გორის მაზრაში მიწების ჩამომრთმევ კომისიაში და ჯამაგირსაც იქიდან ვიღებდი. მხოლოდ საქმე იმაშია, რომ აპრილის 18 დან 14 მარტამდე არავითარი ჯამაგირი არ მიმიღია, ამასთანავე უკვე გამოწერილი ფული, რომელიც მერგებოდა უქმე დღეების მუშაობის სახით 166 მანეთი და 60 კ, არც ის მიმიღია ზემოხსენებული დაწესებულებისაგან; ორ ჯერ მივაკითხე, რომ მიმიღო, მაგრამ ვერას გავხდი, ვინაიდან მე დრო არ დამირჩა, რომ ორი კვირა მომეცდინა ამის მისაღებათ. დღეს ეს ერთი კვირაა დავდევარ ამ დაწესებულებაში და კიდევ ვერაფერს გავმხდარვარ. მიდიხარ ერთ მაგიდასთან, ეკითხები ამა და ამ საქმეს ცნობა გამიგე. ის გიპასუხებს: ამას ერთ თვეში ვერ მოვძებნიო. ეკითხები მეორეს: ისიც ასე ხელ ჩაქნევით გიპასუხებს და ასე უველა განყოფილებაში ბოლომდე. ამავე დროს უყურებ და ხედავ ყველა მაგიდაზე გაბურებული ჩაის სმას და ერთი მეორესთან მუსაიფი.—აი მათი აუცილებელი საქმიანობა. ამისათვის საჭიროა ქალაქის გამგეობამ და თვით იმ ამხანაგებმა, რომლებიც მოიპოვებიან ამ დაწესებულებაში, ენერგიული ზომები მიიღონ, ეს ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეფიციტს იძლევაო. სასიხარულოთ მიიღო, რომ ხალხი თავისი კეთილი მიზნის მისაღწევათ, ამდენ ხარჯს თითონ კისრულობს. ეს შეგნებული ნაბიჯიაო. მინისტრის ამმანაგმა ადგილითქვა ყოველ გვარი დახმარება თავის მხრივ.

X.

ხერილი რედ. მიმართ

წარსული კვირის „ერთობის“ ფურცლებზე იყო მოთავსებული ორი წერილი საერობო ცენტრის შესახებ. ჩვენ ამ წერილში არ შევეხებით ერობათა ცენტრის პრინციპიალურ საკითხს, რომელშიაც „ერთობის“ რედაქციამ გამოთქვა თავისი აზრი ამ კითხვის შესახებ („ერ.“ № 45). ჩვენი აზრით ეს კითხვა ფართოდ უნდა იყოს გაშუქებული სათანადო საზოგადოებრივ წრეებში და დაწესებულებებში და აგრეთვე პრესაში. ვიმედოვნებთ, რომ ახლო მომავალში გვექნება საშვალება ჩვენი აზრი გამოვთქვათ „ერთობის“ ფურცლებზედაც საერობო ცენტრის შესახებ.

აქ ჩვენ გვსურს ყურადღება მივაქციოთ შემდეგ გარემოებას: „ერთობის“ № 48 ზემოაღნიშნულ წერილში სხვათა შორის იყო მოთავსებული შემდეგი: „ამ ხანათ ჩვენ გვაინტერესებს ახლად არჩეული ბიურო და მისი შოვალეობანი. აქ პირველ რიგში დგება საკითხი ბიუროს შემადგენლობისა. ბიუროში შედის ხუთი წევრი და ყველა ესენი ერობათა პასუხისმგებელი თანამდებობის პირებია: თავმჯდომარეები და მათი ამხანაგები. ეს პირები, უეჭველია, დარჩებიან თფილისში და ასე პროვინცია, ისედაც გაღატაკებული მომუშავე ძალებიდან, კიდევ უფრო დაცარიელდება და საერობო მუშაობა კიდევ უფრო შეფერხდება. ყველაზე მეტად ამას თვით ერობის მოღვაწენი უნდა გრძნობდნენ და პირდაპირ გასაკვირია, რომ ასე ადვილად დათანხმდენ, როგორც არჩეულნი, ისე ამრჩევნენ, თავის მცირე გუნდიდან დაეტოვებინათ ხუთი კაცი თფილისში. პროვინცია ისედაც ღარიბია ინტელიგენტური ძალებით, საჭირო იყო მიმატება, ყრილობა კი წინადმდეგ იქცეოდა და ეს იმ დროს, როცა ასეთი დიდი მოვალეობანი დაეკისრა ერობებს და როცა საჭიროა მთელი ძალების მობილიზაცია და მათი გამოყენება, რომ ერობამ შესძლოს დაკისრებულ მოვალეობათა შესრულება“. აქ აღნიშნული ფაქტი, რომ ცენტრმა მოსტაცა ხუთი მოუშავე და იქიდან გამოყვანილი დასკვნები სამართლეს მოკლებულია, რადგანაც ამ ხუთ პიროვნებიდან სამი მუდმივ თფილისში ცხოვრობენ და მუშაობენ, მეოთხე, როგორც პარლამენტის დამფუძნებელი კრების წევრმა, ხანგრძლივად თფილისში უნდა იცხოვროს. გარდა ამისა მას ადგილობრივ ერობიდან აქვს დავალებული მრავალი საქმეები, რომელიც თფილისში უნდა მოაგვაროს. რაც შეეხება მეხუთეს, იგი იყო გამოგზავნილი ყრილობაზე და მას ქუთაისის გუბ. ქალაქთა და ერობის მიზანთ შეწონილი ერთად ერთი კავშირიდან აქვს დავალებული შეასრულოს რთული საქმე, რომელიც თბოუულობს დარჩეს ის თფილისში ხანგრძლივად და ამიტომაც იგი დათანხმდა ცენტრში შესვლას. როგორც ხედავთ ცენტრს პროვინციიდან არავინ არ წაურთმევია. წერილში სხვათა შორის არის ნათქვამი, რომ ერობის ცენტრი სასურსათო საკითხში ვერაფერს ვერ გააკეთებსო.

ჩვენ ამაზე არაფერს ვიტყვით; მომავალი დაგვანახვებს თუ რა უნარს გამოიჩენს ცენტრი თავის რთულ მუშაობაში. ჩვენ აქ გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ შემდეგი:

ერობას საერთოთ ბედი არ ყალობს. იყო დრო, როდესაც ერობა ითვლებოდა ვერათ. ახლათ აღორძინებულ ცხოვრებაში ჩვენ ვრაცხდით ერობას დემოკრატიის წყობილების პირმშო შვილათ და ამიტომაც აღტაცებით ჩავიბეთ ამ საქმეში. ჩვენ გვგონია, რომ ცენტრის შექმნის შესახებ გაუგებრობა არსებობს ამ ხანაგთა შორის და ვიმედოვნებთ ეს გაუგებრობა მალე გაფანტული იქნება და ერობა მთელი თავის შემადგენლობით დაიპყრს ჩვენ ცხოვრებაში სათანადო ადგილს.

ამხანაგური სალამით, საქართველოს ერობათა ცენტრალური ბიური.

რედაქციისაგან. ჩვენ წერილებში ვეხებოდით არა ცენტრალურ ბიუროს, არამედ ერობათა ყრილობას. ჩვენ ვწერდით სისტემის შესახებ და არა ცენტრის. ჩვენ მიგვაჩნდა მიზან შეუწონლათ პროვინციელი დელეგატების თფილისში დატოვება, და ამ მხრით, ეს ფაქტი, რომ ისინი მაინც ხანგრძლივათ უნდა დარჩნენ თფილისში, არ სცელის მდგომარეობას, რადგან თფილისში ცხოვრება და ადგილობრივი საქმეების გაძღოლა შეუძლებელათ მიგვაჩნია. ცენტრის მუშაობა, უეჭველია, მოითხოვს არა „ხანგრძლივ დარჩენას“ არამედ—მუდმივს.

ერობას ჩვენც „დემოკრატიის პირმშო შვილათ ვრაცხთ“ და ამიტომ გვინდა ხელი შეუწყოთ მას თავის დიდ მისიის ასრულებაში და გავაფრთხილოთ ყოველივე იმისგან, რასაც კი შეუძლია ოდნავ მაინც ხელი შეუშალოს.

ანგარიში

სამტრედიის ქალაქის თვითმართველობასთან არსებულ მეომართა დამხმარე სარაიონო კომიტეტისა.

	შემოსავალი		საფოსტოდ ლირებ.	
	მ.	კ.	მ.	კ.
ქალაქის გამგეობამ	1000	—	1000	—
სამტ. ს.-დ. კომიტ.	200	—	—	—
სამტ. ს.-დ. კოლექტივმა	200	—	—	—
სამტ. ვაჭრებმა .	9289	—	1160	—
უშან სანავარდომ .	750	70	—	—
„ ნაფაღურმა .	241	25	252	60
„ კოდარამ . .	120	90	401	48
„ მელაურმა .	197	—	51	15
„ ილორმა . .	155	—	1434	50
ჯამი	12,153	85	4299	63
საზოგადოებები:				
გამოჩინებული . .	1116	—	556	35
კულაში	2884	60	56	10
ჩხენისი	193	60	—	—
ლაბა საჯევახო . .	57	—	330	45
სოფ. დაფნარი . .	150	—	378	5
საზ. ეწერი . . .	131	80	954	—
იანეთი	1030	—	—	—
ჰაგანი	1059	50	—	—
დანირ ჰაგანი . .	814	50	—	—
ტობანიერი . . .	701	—	—	—
ჯამი	8188	—	2274	95
სულ	20,341	85	6564	58

თავმჯდომარე **რ. მიქაძე**, ხაზინადარი **გიორგი შანიძე**, მდივანი **გ. შენგელია.**

სამტრედიის ქალაქის თვითმართველობასთან არსებულ მეომართა დამხმარე სარაიონო კომიტეტის მიერ შეგროვილ შემოწირულებათა სია ქალაქ სამტრედიიდან: 500 მან. თითეულმა ჰ. ქეიშვილმა, გ. სიხარულიძემ; 300 მან.—მ. ს. ბახტაძემ; 200 მან. გ. შანიძემ, ნ. მეგენეფშვილმა, ი. პაპავამ, ს. მიქელაძემ, ფ. კაკაძემ, გ. ანდღულაძემ, ნ. ელიეშვილმა, კ. და ნ. გიჩიჩლაძეებმა, დ. ლორიამ, ი. ჯაშმა; 150 მან. ვ. ხარებავამ, ბ. კაკაბაძემ, 175 მან. ა. დუნდუამ; 140 მან. ს. ქართველიშვილმა. 100 მან. ი. და ი. გუნიებმა, ვ. რუხაძემ, ნ. იობაძემ, მ. რუხაძემ, ი. პაპავამ, ვ. აბზიანიძემ, ს. სტურუამ. ი. იობაძემ, ი. მეგრელიშვილმა; 105 მან. ა. კალაძემ; 90 მან. რ. ახობაძემ; 80 მ. ბ. ხუჩუამ; 70 მ. ლ. არუტინოვმა; 55 მან. ს. ფხაკაძემ; 50 მან. ს. შანაგაძემ, გ. ბოლქვაძემ, ძმ. ალბერტოვებმა, მ. მამფორიამ, გ. მაკარაძემ, ვ. დადანიძემ, ნ. ტობაიძემ, ს. ქავქანიძემ, ა. ბერაძემ, ვ. რუხაძე, ნ. ნიკოლეიშვილმა, ი. გეგუჩაძემ, ვ. კოხრეიძემ, ა. ეკუამ, ს. ჯვარიშეიშვილმა, ა. ბახტაძემ, ი. ქართველიშვილმა, ჰ. ძიძიგურმა, ჰ. დეკიძემ, ს. ნიკურაძემ, მ. რუხაძემ, მ. ახობაძემ, კ. რუხაძემ, რ. ნანეიშვილმა, გ. შენგელიამ, ი. რუსიამ, გ. ბახტაძემ, ე. ბერძენიშვილმა, მ. გეწყაძემ, ჰ. სამხარაძემ, ჰ. გიგინეიშვილმა, ც. ჯაშმა, ლ. შენგელიამ, ვ. ცაგარეიშვილმა, ლ. ადეიშვილმა. თ. ჯამბურიამ, შემნახველ-გამსესხებელ ბანკმა, ე. ჩომახიძემ, დ. სტეფანიდიმ, ი. რუხაძემ, დ. კვანტალიანმა, ა. კალაძემ, ლ. შანიძემ, კ. ახობაძემ, ს. სანიკიძემ, კ. ავალიანმა, შ. გოგოლაძემ, მ. ბერძენიშვილმა, ი. ჩიჩუამ, ა. ფახურიძემ, დ. ლეკვამ, ე. ფარულავამ, ა. ცაგარეიშვილმა, გ. გელაბანიამ, ი. გოგოძემ. ნ. ჯიბლაძემ, ი. ხუჩუამ, ვ. ხურცილავამ, ჰ. ყვერნაძემ, ა. გიგინეიშვილმა, ლ. მამალაძემ, მ. ბერძენიშვილმა, თ. ჩომახიძემ, ფ. რუხაძემ. ი. მეგენეფშვილმა, ნ. ნუცუბიძემ; 40 მან.—ნ. გიორგაძემ, ა. ტერეულაძემ, ლ. კოპალეიშვილმა, მ. სტურუამ, რ. რუხაძემ, ი. ნაცვლიშვილმა, ვ. ახობაძემ, ი. რევიშვილმა, ო. ქუნთელიამ; 30 მან.—მ. მოსიძემ; 25 მან.—რ. თევზაძემ, ი. მურფსიძემ, ა. ბერაძემ, ა. ჰუნერიდი, ს. წიფეშვილაძემ; 20 მან.—კ. ნიკურაძემ, ვ. ლიპარტიანმა, ი. ტორაძემ, თ. რამაზაშვილმა, მ. დოლიძემ, ტ ხუჩუამ, ს. მიქაძემ, მ. კალაძემ, თ. ნაცვლიშვილმა, ნ. გიხანანიშვილმა, ი. რევიშვილმა, ს. პაპავამ, ჰ. ალფაიძემ, ს. გეზეკორმა, ს. კრავეიშვილმა, კ. სტურუამ, ჰ. მეგრელიშვილმა, ა. სტურუამ, ი. მეგრელიშვილმა, ი. ლიპარტიანმა, კ. კოპალეიშვილმა, გ. სანაძემ, ვ. ჯაღელმა, ი. პაპავამ, ს. მგებრიოვმა, ი. ლეკვამ, ი. ჩკვანაძემ, მ. ხამთარაძემ, ი. ყორტოლიანმა, ს. სტურუამ, ვლ. ჯაფარიძემ, ი. ნიკოლეშვილმა, გ. კოპალეოლლიმ, ნ. ნარჩემაშვილმა; 19 მან.—ტ. ნიკოლეიშვილმა; 15 მან.—ი. რაზმაძემ, ჰ. ბაშელეშვილმა, ვ. არაქელოვმა, ი. კაშიამ, თ. თედორაძემ; 10 მან.—ნ. რუხაძემ, ე. ჯორბენაძემ, ყ. ქაჯეიამ, ს. მანჯგალაძემ, ნ ვერულეშვილმა, გ. ნაცვლიშვილმა, ვ. რევიშვილმა, ბ. პაპავამ, ი. გოგიშვილმა, ს. გოგიშვილმა, გ. ანდრიაძემ, ს. ახობაძემ, დ. მიქაძემ, ფ. რევიშვილმა, ი. ალფაიძემ, ს. შანიძემ, ი. ხუნდაძემ, ა. კოხრეიძემ, ი. მინაშვილმა, ო. მარშანიამ, ა. რუსიამ, ბ. მაისაძემ, ს. ბალავაძემ, მ. ახობაძემ, ა. ხელმოკლიძემ, ნ. სტურუამ, ს. კვანტალიანმა, მ. აბესაძემ, დ. მეიშვილმა, გ. სტურუამ, ი. გოგვაძემ, ლ. კუპრეიშვილმა, ე. ახობაძემ, ს. ფეთურიძემ, ნ. შენგელიამ, ი. ტალაბაძემ, გ. ადეიშვილმა, ა. ნიკურაძემ, ს. კვანტალიანმა, ლ. პაპავამ, ბ. ფარცვანიამ, ფ. რუხაძემ, ვ. ახობაძემ, ვ. სტურუამ, დ. ლეკვამ; 9 მან.—ი. გეგეჩაძემ; 8 მან.—ე. ჩიკვაიძემ, ი. გეგიამ, ა. ფრანგიშვილმა; 7 მან.—ო. ჯაყელმა; 6 მან.—ვ. კირთაძემ, მ. გეგეშიძემ; 5 მან.—მ. ღურბელეშვილმა, ს. ჩიქვანმა, მ. სტურუამ, ა. მდივანმა, ა. ბაშელეშვილმა, გ. სალარიძემ, თ. ნიკოლეიშვილმა, ი. შენგელიამ, დ. ნამგალაძემ, ს. გეგიამ, გ. ხოლუაშვილმა, მ. ხუჩუამ, კ. კახაძემ, მ. პაპავამ, ი. ბახტაძემ, ი. რამიშვილმა, ვ. კახაძემ, ნ. ჩიტიამ, მ. ტყეშელაშვილმა, ვ. ხუჩუამ, ი. ნიკურაძემ, კ. ჯანელიძემ; 3 მან.—რ. გელეიშვილმა, ბ. ფადავამ, ს. გვესალაველ, ი. კიკაჩეიშვილმა, ს. ღუტაძემ, ა. ბოსადაროვმა, ჰ. ჯანაშიამ, ი. გულიჩეიმა, ნ. სირაძემ, ჰ. მედონიანმა, ა. შენგელიამ, ს. ნიკურაძემ, ვ. სტურუამ, ზ. ჯანელიძემ; 2 მან.—ვ. კალაძემ; 1 მან.—ბ. ზაქრაძემ და გ. შუბლაძემ.

განცხადებანი

რევმატიზმი

ეწამლობ რევატიზმს ბალახებით შეზავებულ წამლებით (დაზელით) მისამართი: მიხეილის ქ. № 48 ეზოში. მიღება საღამოს 3—5 საათამდე.

(2—1)

ქ. თფილისში, ამ რამდენიმე დღის უკან

დავკარგე

საბელმწიფო უნივერსიტეტიდან მოცემული მატრიკული წიგნი № 217 ამოწერილი ვალოდია ჩოჩიას სახელზე. ვთხოვ მნახველს გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: თფილისი, გაზეთ „ერთობის“ რედაქცია, ვალოდია ჩოჩიასათვის. (2—2)

ეძიება

კ. თ. ცუეშელაშვილის

სამკურნალო ბანკეთი

მიხეილის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე, ფოსტის მახლობლათ შესასვლელი ბელგიის ქუჩიდგან—აფთიაქის პირდაპირ ვენერიული, კანი, სიფილ. (606 და 914 შეშხაპუნება) შაშარდე და სახქესე ორგანოთა ხნეულებანი. საღამოს 5—7 საათ. (25—4)

ეძიება ნიკოლოზ ივანეს ძე

მახვილაძე

იღებს სპეციალურად—ბალახითი (ციებაზე, და მისი შედეგებით დასნეულებულნი, სახსრების ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან ხნეულებით ავადმყოფთა) ყოველ დღე საღამოობით 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ბეშვლის აფთიაქის ახლოს.

ბაბანაა თბილის ხალხადმყოფთა

(მუდმივი საწოლებით)

ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავთმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „პოლოს“ ახლოს) მძიმე ავთმყოფები და ოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

ეძიება ს. ა. შაშრანი.

სპეციალურად ხიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების ხნეულებანი. ავთმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლდის ქ. № 33.

ბაბილის ხალქიმო კაბინეთები

თბილისი საშვარელის ქ. ცხოველქიანა

ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამის 5—8 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

ეძიება

ნ. ბ. გეგეჭკორი

სპეციალურად—ბავშვთა და შინაგანი ავადმყოფობანი: ავადმყოფობანი გულისა და ფილტვებისა, ყორდანოვის ქუჩა №10. მიღება საღამ. 5—7 საათ. ტელ. 17—68.

ეძიება

დ. ვ. ჯაკანიშვილი

იღებს ბავშვთა და შინაგან ხნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, გუნიბის ქ., № 41, ტელ. № 14—60.

ექ. დ. ი. ჯაფარიძე

ღებულობს: შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის ხნეულებით ავთმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ., საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქ. № 7 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 16—35.

ეს ძალი

ვაინი

იღებს სპეციალურად საბებით და შინაგან ხნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 3—6 საათ. მისამართი: სუდებნაია, 33 ეზოში.

ეძიება

ანასტასი ლვოვიჩი-ორლოვსკი

მიიღეს შინაგან ხნეულებიან და ბავშვების ავადმყოფებს. სპეციალურად მალარიის (ციების) წამლობა. ყოველ დღე დილის 12—2 ს. და საღამოს 6—7. ქსენიევის ქ. № 9, ტელ. 12—88. (25—18)

ექიმი

ი. ბ. კონიევი

იღებს შინაგან ხნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. ვერა ვარდის უბნის ქ. № 3.

მედიცინის დოქტორი

ბერლინის უნივერსიტეტისა

ბ. ბ. მეგრაგიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ქალებისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსებული ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. დარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.

ეძიება ძალი

რ. ბ. ფიფლო-საგაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ეღინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე **შინაგან, ქალურ** და **ვენერიულ ავადმყოფთ** და იძლევა საბებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 **საათ.** მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

ა. ნ. ფალილოვი

იღებს ოფალის ხნეულებიან ავთმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონეკოვის ხიდის ახლოს).

ექიმი

ვ. ნ. ჩუპრინინი

იღებს ბავშვთა და შინაგან ხნეულებიან ავთმყოფთ ყოველ დღე 1—3 საათამდე. მისამართი: ნაძალადევი. ბესსეინის ქუჩა № 30.

ეძიება

კეკელია

იღებს ვენერიულ ხნეულებიან ავთმყოფთ (914, 606 შეშხაპუნება) მიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ № 116 სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ. ტელ 14—38.

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

ხუთშაბათს, 6 მარტს სპეკტაკლი gala საბანეევას, ალეშკოს, კინშინის, ვრონსკის, ისეკის მონაწილეობით

„გუგენოტები“

პარასკევს, 7 მარტს უმუშავართა სასარგებლოდ „კამპანია“. შაბათს „ოქროული ბოთა რუსთაველზე“ და „გრძნეული სალამური“.

განცხადება

საქართველოს სახაზინო რკინის გზის სასურსათო კომიტეტი იწვევს მოიჯარადრეებს, რომელთაც შეუძლიათ მიაწოდონ კომიტეტს რაიმე პროდუქტი—საქონელი. მსურველებს შეუძლიათ მოგბრძანდნენ მოსალაპარაკებლად დილის 10—3 საათამდე, ელისაბედის და მუშტაიდის ქუჩის კუთხე, № 200. (3—2)

განცხადება

სამტრედიის კოოპერატივ „დახმარება“-ს წევრთა წლიური ჩვეულებრივი კრება დანიშნულია კვირას 9 მარტს (ახ. სტ.) 1919 წ. დილის 9 საათიდან, ქალაქის საკრებულო დარბაზში და თუ არ შესდგა—მის სწორს 16 მარტს.

დღიური წესრიგი

1) მოხსენება გამგეობისა
2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა
3) საანგარიშო (1918) წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.
4) მიმდინარე წლის საკარაულო სარჯთა-აღრიცხვა.
5) საპაიო ფულის გადიდება 50 მანეთამდე.
6) პროცენტების გადიდება მობარებულ ფულზე 12 პროც.-მდე.
7) საანგარიშო (1918) წლის მოგების განაწილება.
8) სასადილოს გახსნა.
9) გამგეობის წევრებზე თვეური ჯამაგირის დანიშვნა და სხ.
10) არჩევნები სარევიზიო კომისიისა და გამგეობის წევრების.

გამგეობა.

უაქარი

სასურსათო განყოფილება ქალაქის თვითმართველობისა ამით აცხადებს ქალაქის მცხოვრებთა საყურადღებოდ, რომ ამა წლის 6 მარტიდან დაიწყება ინვრის თვის შაქრის დარიგება. სულზედ მიეცემათ თითო გირვანქა შაქარი. ფასი შაქრისა 4 მან. გირვანქა.

ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილება. (3—1)

განცხადება

კასელ მეგვენასეთა კოოპერატიული საზოგადოება

პრემია 500 მანეთი **„კახეთი“** პრემია 500 მანეთი

ამით აცხადებს, რომ რიდანაც ბსენებულ საზოგადოებას აზრათ აქვს შემოიღოს ქართული ეტიკეტები (ярлыки) ამისათვის სთხოვს ყველა მცოდნე პირთ ამ საქმისთვის წარმოადგინონ თავიანთი ნაწარმოები. საუკეთესოთ მიჩნეულისთვის დანიშნულია

პრემია 500 მანეთი

პირადად მოლაპარაკება გამგეობასთან და დაწერილებითი ცნობების მიღება საზოგ. „კახეთის“ მთავარ კანტორაში: გოგოლის ქუჩა № 63. 9—3 საათამდე, გარდ. უქმეებისა

გამგეობა, (3—2)

„უფუფევართა დღეები“

7, 8 და 9 მარტს, პარასკევს 7 მარტს Galea—სპეკტაკლი

კომორრა

ზალიპსკის და საბანეევას მონაწილეობით. 3 მოქმედებიანი ოპერა მუსიკა ექსპოზიტას. მონაწილეობას ღებულობენ: სპიტკო. ივანა, ბიშეფერსკაია, პოლიკოვი, ვარულხაკი, ისეკი, დემიანენკო, კურბატოვი, ეზროვი და სხვები.

II „ქორწილი მალოროსიაში“

ბილეთი.

მონაწილეობას იღებენ: ბაურზაკი, ლეონოვა, ვოკარეცი, დემიანენკო და სხვები.

ბილეთები იყიდება ყოველ დღე კასაში. (2—2)

საჯარო ვაჭრობა

თფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 12 მარტს, დღის 12 საათზე გამგეობის თანდასწრებით

საჯარო ვაჭრობით

იჯარით გაიცემა საბუტკო ადგილები: 1) ბოლოვინისა და მამადავითის ქუჩის კუთხეში, 2) ელისაბედისა და მუშტაიდის ქუჩ. კუთხეში. კონდიციებისა და ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება სამეცადინო საათების დრონ საიჯარო სამიწათმოქმედო განყოფილების კანცელარიაში. (2—1)

სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზ. გამგეობა

ამით აუწყებს მოქალაქეთ, რომ ბათომის ოლქის საჭიროებისათვის ძ. ბათომში

გამგეობა აარსებს დიდ ბიბლიოთეკას

გამგეობა სთხოვს ყველა მოქალაქეთ, ვის რითაც შეუძლია ბიბლიოთეკის საქმეს დახმარება აღმოუჩინოს.

ბიბლიოთეკა შემდეგი განყოფილებებისაგან შედგება:
1) ისტორიულ ფილოსოფ. ული (ანალ. ბერა ქვეყნეთის შესახებ).
2) აღმოსავლეთის საკითხები.
3) ბელეტრისტიკა.
4) ფილოსოფია, ბუნების მეტყველება და პედაგოგიკა.
5) საყმაწვილო წიგნები.
6) იურისპრუდენცია.

შეიძლება წიგნებათ შემოწირულების მიღება:

ფასოლიანულია ამიღება: 1) ქარ. საქ. საზოგ. მთავარ გამგეობაში, სასახლის ქ. № 5 და აგრეთვე ყველა განყოფილებებში. გამგეობა იყიდის აგრეთვე კარგი წიგნებისაგან შემდგარ მზა ბიბლიოთეკასაც.

(3—3) **სამუსლიმანო საქართველოს საქველმ. საზ. გამგეობა.**

სამუსლიმანო საქართველოს საქველმოქმედო საზოგ. გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ბათომის ქალაქის ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების სკოლებში მეცადინეობა ამ მოკლე ხანში დაიწყება. ჯერ ჯერობით გაიხსნება 9 სკოლა. საჭიროა გამოცდილ მასწავლებლები, აგრონომები და დურგლები. უპირატესობა აქვთ ქართველთა. ყოველ მასწავლებლებს ეძლევათ, პირობები დაახლოვებით შემდეგია: მასწავლებლებს თვეური ჯამაგირი 600 მანეთამდე ბინით და გათბობა განათებით. აგრონომებს სასმელ საჭელი, ბინა გათბობა განათებით 400 მანეთამდე თვეში.

თხოვნაები მიიღება თფილისში

ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობაში, სასახლის ქ. № 5. **და ალანიხუთშა ისმაილ თევზაძეს.**

თხოვნაში უნდა აღინიშნოს მთხოვნელის სწორე მისამართი.

(3—3) **გამგეობა.**

დასურათებული საქმაწვილო უოველთვიური ქურნალი

1919 წლ. **ნაკადული** წელიწადი მეთხუთმეტე

გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით მცირეწლოვანთა და მოზრდილთათვის თვეში ერთჯელ, მცირეწლოვანთათვის 48 გვერდ. და მოზრდილთათვის 64 გვ. ფასი ჟურნალისა ერთი წლით ორივე გამოცემა—55 მან. ცალ-ცალკე 30 მან. ჟურნალი ქალაღლისა და ბეჭვის სიძვირის გამო დაიბეჭდება განსაზღვრული რიცხვი და მსურველთ ვსთხოვთ დროით დაიკვეთონ. ხელის მოწერა მიიღება **„ნაკადულის“** რედაქციაში, თფილისი გოლოვინის და დავითის ქ. კუთხე 8—2 ს. შესასვლელი დავითის ქ. № 2.